



**თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 51

2014 წლის 21 ოქტომბერი

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სოციალურ -ეკონომიკური
განვითარების სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის ძირითადი
პრიორიტეტების ნუსხის დამტკიცების შესახებ**

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3-ე მუხლის 5-ე ნაწილის „ა და ბ“ პუნქტების შესაბამისად,

1. დამტკიცდეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის ძირითადი პრიორიტეტების ნუსხა.

2. დაევალოს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას (ბ-ნ ალ.შათირიშვილი):

ა) მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამისი საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს საკრებულოს მიერ შემუშავებული მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ძირითადი პრიორიტეტები;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპრივატიზაციო ობიექტების აუქციონზე გატანის განცხადებები ელექტრონულ საშუალებებთან ერთად განათავსოს სოფლების ადმინისტრაციულ შენობებში და სხვა თვალსაჩინო ადგილებში.

გ) სამოქმედო გეგმის დამტკიცების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს თითოეულ სოფელში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობის, სპორტული

ინვენტარის შექმნის, კულტურის სახლებისა და კლუბების შენობების აღდგენასა და ფუნქციონირებას. განახლებული კულტურის სახლებისა და მოქმედ სპორტული სექციების ხელმძღვანელებისათვის სახელფასო ანაზღაურების საკითხებს.

დ) შეისწავლოს და წარმოადგინოს ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის სახლების, საბავშვო ბაღების, სტადიონების, ადმინისტრაციული შენობების, პირუტყვის საძოვრების პრივატიზაციის და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული წინანდლის ყოფილი საბავშვო ბაგა-ბაღის ეკონომიკის სამინისტროსათვის გადაცემისა და შემდგომ მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლად მისი ფარულად პრივატიზაციის შესახებ.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

4. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის
სოციალურ-ეკონომიკური განვითარების
სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის
ძირითადი პრიორიტეტები**

1. სასმელი წყლის დრენაჟებისა და მილგაყვანილობის ქსელების რეაბილიტაცია.
2. ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ორგანიზებული გატანა სოფლებიდან.
3. სოფლის საუბო გზებისა და მოსახლეობის მიწის სავარგულებთან მისასვლელი გზების და სანიაღვრე არხების მოწესრიგება.
4. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.
5. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საკონსერვო საწარმოს დაარსება.
6. მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა, სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირების გამოყოფა.
7. გაუქმებული კულტურის სახლებისა და კლუბების შენობების შეკეთება და ფუნქციონირების აღდგენა.

სოფლების მიხედვით

აკურა

1. სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია
2. საუბნო გზების სანიაღვრე არხების გაწმენდა
3. ცენტრალური და საუბნო გზების შეკეთება
4. საბავშვო ბაღის შენობის შეკეთება
5. სოფლის ცენტრში არსებული სკვერის კეთილმოწყობა
6. ადნიმისტრაციული შენობის შეკეთება
7. მიწის სავარგულებზე გამავალი გზების შეკეთება.

ვანთა

1. სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და დამატებით ერთი ჭაბურღილის დამატება.
2. წყლის რეზერვუარზე დამცლელი და გამანაწილებელი ურდულების მოწესრიგება.

3. კულტურის სახლის, შენობის შეკეთება და ფუნქციონირების აღდგენა.
4. საუბნო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება.
5. სარწყავი არხის გაწმენდა და ქსელების მოწესრიგება.
6. ბაგა-ბაღის შეკეთება.
7. გარე განათების მოწესრიგება.

ბუშეტი

1. სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია არსებულ ჭაბურღილთან რეზერვუარის დადგმა და დამატებით ერთი ჭაბურღილის მოწყობა
2. ბაგა-ბაღის შეკეთება
3. სვეტიცხოვლის ეკლესიის რესტავრაცია
4. კულტურის სახლის შენობის შეკეთება და აღდგენა
5. საუბნო და მიწის სავარგულებთან მისასვლელი გზებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება
6. გარე განათების მოწესრიგება
7. ალაზნის სარწყავი არხის გაწმენდა და ქსელის მოწესრიგება

ქვ. ხოდაშენი

1. სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და შიდა ქსელის რეაბილიტაცია, ჭაბურღილის საქაჩის აღდგენა.
2. საუბნო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება.
3. მიწის სავარგულებთან მისასვლელი გზების შეკეთება
4. სოფლის სანიტარული დასუფთავება.
5. ამბულატორიის შენობის შეკეთება
6. გარე განათების მოწესრიგება
7. ადმინისტრაციული შენობის რემონტი.

წინანდალი

1. ისტორიული ძეგლის სტატუსის მქონე წინანდლის ღვინის ქარხნის ძირითადი ნაწილისთვის სტატუსის გაუქმების სამართლიანობის დადგენა.
2. წინანდლისა და თელიანის ღვინის ქარხნების და სოციალური დანიშნულების ობიექტების პრივატიზაციის სამართლიანობის დადგენა.

3. შპს „წინანდალი- ღვინის საგანძური“-ს ყოფილ თანამშრომლებზე პრივატიზაციამდე არსებული ხელფასების გაცემა.
4. სასმელი წყლის დრენაჟებისა და მილგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაცია.
5. სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზის მოწყობა.
6. სამუსიკო სკოლის ტიპური შენობის აგება ყოფილ საბავშვო ბაგა-ბაღის ბაზაზე.(სამუსიკო სკოლა დროებით განთავსებულია ადმინისტრაციულ შენობაში).
7. ყოფილი სავაჭრო ცენტრის რეაბილიტაცია.
8. პრივატიზებული საბავშვო ბაღის ფუნქციონირების აღდგენა.
9. ყოფილი ამბულატორიის შენობის ბაზაზე სპორტული კლუბის დაარსება.
10. სოფლის სტადიონის კეთილმოწყობა მარტივი ტიპის კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების მოწყობა, სპორტული ინვენტარის შეძენა.
11. სოფლის სანიტარული დასუფთავება.
12. სოფელში ნაწარმი სუვენირებისა და სასურსათო პროექტების ღია ბაზრობის გაკეთება.
13. ჭავჭავაძის საგვარეულო სასაფლაოს მოწყობა.

კონდოლი

1. სასმელი წყლის ქსელის მილგაყვანილობის შეცვლა 150მეტრზე, წერტილოვანი შეკეთებები.
2. ცენტრალური გზის შეკეთების დამთავრება საუბნო გზების სანიაღვრე არხების გაწმენდა.
3. გარე განათების მოწესრიგება
4. სოფლის სანიტარული დასუფთავება
5. საბავშვო ბაღის შეკეთება
6. კულტურის სახლის რემონტი და ფუნქციონირების აღდგენა
7. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.
8. ადმინისტრაციული შენობის რემონტი
9. მდინარე კისისხეზე სოფელთან მიმდებარე ჯებირსამაგრების მოწყობა.

კისისხევი

1. სოფლის ინტერესების იგნორირებით მოხდა სოფლის მიმდებარედ სამოვრის პრივატიზება, რომლის ტერიტორიაზე გადის სასმელი წყლის მაგისტრალი.
2. სოფლის ცენტრალურს გზას ესაჭიროება ორმოულის შეკეთება.
3. შესაკათებელია საბავშვო ბაღის შენობის ნაწილი.
4. დასამთავრებელია სტადიონის მოწყობა.
5. შეჩერებულია ღვინის ქარხნისკენ მიმავალი გზის მოასფალტება

6. სასმელი წყლის ავზის აღდგენა.

ნასამხრალი

1. ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის შეკეთება (განთავსებულია დასწებითი სკოლა და სოფლის ადნიმისტრცია)
2. საბავშვო ბაღის ფუნქციონირების აღდგენა (ერთი ჯგუფი 25 მოზარდისათვის)
3. სასმელი წყლის დრენაჟის გაკეთება და 5კმ მილით სოფლის ქსელში მიერთება. წყლის სამარაგო რეზერვუარის დადგმა.
4. თელავის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა მგზავრობისა და საფასურის გადახდის მოწესრიგება.

შალაური

1. სოფელს დაუბრუნდეს უკანონოდ პრივატიზებული საბავშვო ბაღის შენობა ან აშენდეს ახალი
2. შესაკეთებელია სასმელი წყლის სათავე ნაგებობები
3. აღსადგენია კულტურის სახლი
4. საჯარო სკოლას არ გააჩნია ასფალტი
5. შესაკეთებელია სოფლის ცენტრალური და საუბნო გზები. გასაწმენდია სანიაღვრე არხები.
6. შესწავლილ იქნეს სოფელში არსებული ობიექტებისა და მიწის სავარგულების მოსახლეობის ინტერესები.

კურდღელაური

1. სასმელი წყლის ჭაბურღილებთან სამარაგო ავზების დადგენა.
2. საუბნო გზების რეაბილიტაცია-სანიაღვრე არხებისა და ბოგირების მოწყობა.
3. სოფლის ბალანსზე არსებული სატვირთო მანქანისა და ტრაქტორის სათადარიგო ნაწილების შექმნა და გარემონტება.
4. გარეგანათების მოწესრიგება.
5. მოქმედი ეკლესიის გალავნის აშენება.

ვარდისუბანი

1. ცენტრალური გზის ორმოული შეკეთება. (მერე, კობიაანთ უბანი და ყარაულაანთ უბანი)
2. შიდა საუბნო გზების მოხრეშვა, სანიაღვრე არხების მოწყობა.
3. სოფლის წყალმომარაგების შიდა ქსელის შეცვლა.

4. ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის მოწყობა ძველი სკოლის ადგილას.
5. სოფლის ტერიტორიის სანიტარული დასუფთავება.
6. საჭიდაო დარბაზის შეკეთება.მწვრთნელის ხელფასით უზრუნველყოფა.
7. იმერლების უბნის გაზიფიცირება.

თეთრიწყლები

1. სასმელი წყლის შიდა ქსელისა და წყლის შემკრები ავზის რეაბილიტაცია.
2. საუბნო გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხების მოწყობა.
3. სეროდან-პანტაანის გზის კეთილმოწყობა.
4. სასაფლაოსთან და სავარგულებთან მისასვლელი გზების კეთილმოწყობა.
5. საძოვრებზე საქონლის სარწყულებლებლების მოწყობა.
6. ელექტროქსელის საყრდენი ბოძებისა და სადენების შეცვლა.

იყალთო

1. შათირიშვილების უბანში წყლის მილის ამოცვლა და გზის მოწესრიგება.
2. ჯავახიშვილების და ყურშიტაშვილების უბანში საუბნო გზის მოწესრიგება.
3. წყლის შიდა ქსელების ამოცვლა და გზების მოხრეშვა.
4. თალღაურის უბანში ერთი ჭაბურღილის გაკეთება .სასმელი წყლის ბასეინიდან გაჩერებამდე მილის ამოცვლა და გზის მოხრეშვა.
5. ელექტრო გადამცემი ხაზების მოწესრიგება,ბოძების ამოცვლა და ორი ახალი ტრანსფორმატორის დამატება.
6. სანიაღვრე არხების გაწმენდა -მოწესრიგება და გადასასვლელების გაკეთება.
7. საბავშვო ბაღის სახურავის შეცვლა და რემონტი.
8. თალღაურის უბანში მინი სტადიონის და სკვერის მოწყობა.
9. იყალთოს ხევში ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება.
10. სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებთან მისასვლელი გზების მოხრეშვა.

რუისპირი

1. სასმელი წყლის ჭაბურღილების გაწმენდა არტოზანის, ტურანთ და კულტ სახლის უბნებში.
2. ცენტრალური გზის მოასფალტება სასაფლაოს მიმართულებით. (600მ.)
3. ახატელ-ყარაჯალის დამაკავშირებელი გზის ორმოული შეკეთება.

ყარაჯალა

1. შესაკეთებელია სოფლის ცენტრალური და საუბნო გზები, გასაწმენდია სანიაღვრე არხები.
2. სოფელს არ გააჩნია კულტურის სახლი და ადმინისტრაციული შენობა. საჭიროა ახლის აშენება.
3. ამორტიზებულია სასმელი წყლის სათავე ნაგებობა. საჭიროა დამატებითი ჭაბურღილების მოწყობა, გასაწმენდია წყლის რეზერვუარი.
4. სოფელი ითხოვს გაზიფიცირებას.
5. დასამთავრებელია გარე განათების სამუშაოები.
6. გასარემონტებელია ბაგა-ბაღის შენობა. მოსახლეობა ითხოვს დამატებითი დამატებითი ჯგუფის გახსნას.
7. სოფლის ცენტრში საჭიროა მგზავრთა მისასვლელის მოწყობა.
8. აღდგენას ითხოვს სოფლის სტადიონი.
9. საჭიროა მდ. თურდოს ძველ კალაპოტში დაბრუნება.
10. საჭიროა სოფლის ახალი სასაფლაოს ტერიტორიის დაკანონება და შემოღობვა.

გულგულა

1. სასმელი წყლის დამატებითი ჭაბურღილის გაკეთება. წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია.
2. სოფლის სანიტარული დასუფთავება.
3. ელექტროქსელის ბოძების შეცვლა, სადენების მოწესრიგება.
4. სოფლის სასაფლაოს შემოღობვა.
5. ცენტრალური გზის ორმოული შეკეთება.

6. მოსაწყობია ფეხბურთის სტადიონი.
7. სკოლის ეზოში აღსადგენია სახანძრო ავზი.

ნაფარეული

1. მოსახლეობა ითხოვს დოკუმენტურად გაირკვეს სოფლის ინტერესების გვერდის ავლით და საზოგადოებისაგან მალულად ღვინის ქარხნის, ადმინისტრაციული შენობის ორი საბავშვო, ბაღის სატრაქტორო პარკის, სამეურნეო ეზოს, საერთო საცხოვრებლების, სტადიონის, ლიმონათის ქარხნის, საავადმყოფოს, აბანოს, ბლოკის საამქროს, პურის საცხობის, სასტუმროს, ამბულატორიის შენობებისა და მათზე მომარგებული 38 ჰა მიწის ფართობების პრივატიზაციის კანონიერება.
2. გაირკვეს ალაზნის პირზე არსებული სამოვრის პრივატიზაციის საკითხი.
3. გადაწყდეს თეთრწყლებში არსებული შენობისა და მიწის ნაკვეთის ფუნქციის საკითხი.
4. შესაკეთებელია სასმელი წყლის ჭაბურღილი ელექტრო საქარბი.
5. ლამისა და სესიაშვილების უბნის ელექტრო ხაზის გადართვა სოფლის ფილტრზე.
6. სოფლის ადმინისტრაციული შენობის რემონტი და ინვენტარის შექმნა.
7. საერთო საცხოვრებლების სახურავის შეკეთება.
8. მდინარიდან ხრემის გადმოტანის ნებართვის ადგილზე გაცემა.
9. სარწყავი სისტემის მოწესრიგება.
10. სასაფლაოების დარაჯების აყვანა.
11. შიდა საუბნო გზების მოხრეშვა.
12. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული ზურაბ ბალაშვილის მემორიალის გაკეთება.
13. ფოსტის ყვითელი შენობის მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემა და სპორტკლუბის დაარსება.
14. შიდა საუბნო გზების განათების მოწესრიგება.
15. სკოლის ისტორიული სტატუსის მქონე შენობების სკოლისათვის გადმოცემა.

ლაფანყური

1. მთლიანად შესაცვლელია სასმელი წყლის დრენაჟები და ქსელი. გასაკეთებელია ჭაბურღილი.
2. შესაკეთებელია ნაფარეული-ლაფანყურის გზა. საჭიროა გაიხსნას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩაკეტილი გზა.
3. აღსადგენია კულტურის სახლი.

4. მოსაწყობია მდ.ლოპოტას ნაპირსამაგრები.
5. მოსახრეშია საუბნო გზები.
6. გასაწმენდია სარწყავი არხი.
7. სოფლისათვის გადაცემული ტექნიკით მოსახლეობის სარგებლობის ორგანიზაციის გაუმჯობესება.
8. სოფლის საზღვრების დადგენა.
9. ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გაუმჯობესება.
10. შეშის დაწესებული ნორმის გაორმაგება.

სანიორე

1. ზემო ალაზნისა და სოფლის შიდა ქსელების სარწყავი არხების გაწმენდა.
2. მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.
3. შესაცვლელია სასმელი წყლის მილები.
4. აღსადგენია კულტურის სახლის შენობა.
5. საბავშვო ბაღში საჭიროა ჯგუფის დამატება.
6. მოსაწესრიგებელია გარე განათებისა და სოფლის სადენი ქსელები.
7. სოციალურად დაუცველი ოჯახები ითხოვენ გაზიფიცირების სამუშაოებში შეღავათიან საფასურს.
8. საბავშვო ბაღთან გამყოფ ცენტრალურ გზაზე მოსაწყობია მოძრაობის შემაფერხებელი ნიშნები.
9. საჭიროა პირუტყვის ბრუცელიოზის საწინააღმდეგო ვეტერინალური დამუშავება.

ჯულაანი

1. მოსახლეობა ითხოვს უცხოელებზე სოფლის ინტერესების საწინააღმდეგოდ გაცემული მიწების დაბრუნებას.
2. შესაცვლელია მწყობრიდან გამოსული 700მ სიგრძის სასმელი წყლის ქსელი
3. მოსახრეშია საუბნო გზები
4. ამორტიზირებულია სარწყავი წყლის სისტემა.

5. დაზიანებულია ელექტრო ქსელი, გარე განათება.

ართანა

1. სოფლში შემოსასვლელი ცენტრალური გზის მოასფალტება. (2,3კმ)
2. სასმელი წყლის დამატებითი დრემაჟის მოწყობა და 800მ სიგრძის მილგაყვანილობით ქსელის ცენტრალურ ხაზზე მიერთება.
3. სოფლის გაზიფიცირება.
4. სკოლის მოშენებული ნაგებობის გადახურვა
5. შიდა ელექტრო ქსელების ამორტიზებული ხის ანძების შეცვლა, ლაფანყურის ფიდერიდან გამოყოფა.
6. წყლის შემკრები ავზის შეკეთება. საქლორატოროს მოწყობა და ქლორის შექენა.

ფშაველი

1. საბავშვო ბაღის ტიპიური შენობის აღდგენა და შესყიდული კერძო ბინიდან ყოფილ შენობაში გადმოტანა.
2. სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.
3. სოფლის სანიტარული დასუფთავება.
4. მოსაწესრიგებელია გარე განათება და შიდა ქსელები.
5. შესაკეთებელია საუბნო გზები, გასაწმენდია სანიაღვრე არხები.
6. აღსადგენია კულტურის სახლი, დასადგენია მისი მესაკუთრე.
7. გასარემონტებელია ადმინისტრაციული შენობა.
8. აღსადგენია სოფლის სტადიონი.
9. კეთილმოსაწყობია სოფლის ცენტრი.

ლალისყური

1. სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია
2. სოფლის სანიტარული დასუფთავება
3. ადმინისტრაციული შენობის რემონტი
4. გარე განათებისა და შიდა ელექტრო ქსელების მოწესრიგება.
5. სტადიონის აღდგენა და სპორტდარბაზის მოწყობა.

ლექური

1. ლექურში არ არსებობს ამბულატორია.
2. მოსაწყობია მინი ბაზრობა (მეფულტკრეობის მიმართულებით).

**პერსპექტივაში განსახორციელებელი
ობიექტების ჩამონათვალი სოფლების მიხედვით**

1. ფშაველი - ა) სასმელი წყლის რეზერვუარი 400-600 ტონიანი.

 ლერჯური - ბ) არსებული დრენაჟის რეაბილიტაცია.
2. აკურა - ა) სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია.

 ბ) ცენტრალური გზის მოასფალტება 1,5კმ.
3. ლალისყური - ა) წყლის ქსელების შეცვლა 2კმ. $d=300$ მლ.
4. წინანდალი - ა) მუხიანის დასახლების 1,5კმ და სადგურის გზის მოასპალტება - 0,7კმ.

 ბ) ახალი ჭაბურღილის გაკეთება.
5. გულგულა - ა) გაუქმებული ჭაბურღილის აღდგენა და მასზე დენის მიყვანა; 500მეტრის მანძილზე.

 ბ) გზის საფარის აღდგენა - 5კმ.
6. შალაური - ა) ასფალტის საფარის აღდგენა ცენტრალურ გზაზე.
7. ვარდისუბანი - ა) საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის მთლიანი დამთავრება.

 ბ) სანიაღვრე არხების მოწყობა - 10კმ მანძილზე.
8. რუისპირი - ა) არსებული ჭაბურღილების აღდგენა 3 ადგილას.

 ბ) გზის საფარის აღდგენა მოასფალტება - 700გრძ.მ.
9. ართანა - ა) ცენტრალური გზის მოასფალტება - 2კმ მანძილზე.

 ბ) ტურაულის წყალზე დრენაჟის მოწყობა და მილსადენის მოწყობა $L=700$ გრძ.მ.
10. იყალთო - ა) ახალი ჭაბურღილის მოწყობა თაღლაურის უბანში საკუთარი ტრანსფორმატორით.

 ბ) სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია.
11. კონდოლი - ა) გზის საფარის მოწყობა 4კმ მანძილზე.
12. სანიორე - ა) სანიაღვრე არხების მოწყობა ართანის მიმართულებით და ცენტრიდან ქვემოთ 4კმ მანძილზე.

 ბ) სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა (300ტონიანი) საქლორატოროთი.
13. ნაფარეული - ა) გამგეობის შენობის რეაბილიტაცია.
14. კურდღელაური ა)სასაფლაოზე მისასვლელი მოასფალტებული გზის ორმოულის შეკეთება.
15. თეთრიწყლები - ა) სეროდან - პანტიანის გზაზე ორი ბოგირის მოწყობა.

 ბ) იმავე გზის მოხრეშვა.
16. ვანთა - ა) სოფლის სასმელი წყლის ცენტრალური და შიდა ქსელების რეაბილიტაცია.
17. კისისხევი - ა) ახალი დრენაჟის მოწყობა.

 ბ) მოსახლეონის ნაკვეთებთან მისასვლელი გზების მოხრეშვა.
18. ქვ. ხოდაშენი - ა) დრენაჟის მოწყობა მილსადენით.
19. ლაფანყური - ა) ცენტრალური გზის ასფალტის საფარის მოწყობა.

 ბ) დრენაჟის მოწყობა.
20. ბუშეტი - ა) სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია.

 ბ) ჭაბურღილის მოწყობა.
21. ნასამხრალი - ა) საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.
22. ყარაჯალა - ა) ასფალტის საფარის მოწყობა 1,5კმ.

 ბ) ჭაბურღილის მოწყობა სათბურების ქვემოთ.

 გ) ჭაბურღილის მოწყობა ალაზნის არხის ქვემოთ.